



სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური  
დირექტორის

ბრძანება № 18

2016 წლის 09 თებერვალი

ქ. თბილისი

მაგისტრანტთა სასწავლო-კვლევითი პროექტების გრანტით დაფინანსების 2016 წლის  
კონკურსის გამოცხადების შესახებ

„მაგისტრანტთა სასწავლო-კვლევითი პროექტების გრანტით დაფინანსების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 5 ოქტომბრის N130/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესი და პირობების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო გრანტებისა და პროგრამების უზრუნველყოფის, შეფასებისა და ანალიზის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტის ხატია ანანიაშვილის სამსახურებრივი ბარათის (N111685, 09.02.2016) შესაბამისად,

**ვბრძანებ:**

1. გამოცხადდეს მაგისტრანტთა სასწავლო-კვლევითი პროექტების გრანტით დაფინანსების 2016 წლის კონკურსი;
2. დამტკიცდეს მაგისტრანტთა სასწავლო-კვლევითი პროექტების გრანტით დაფინანსების 2016 წლის კონკურსის პროგრამა და პირობები ამ ბრძანების დანართი N1-ის შესაბამისად;
3. დამტკიცდეს „საპროექტო წინადადების“ ფორმა ამ ბრძანების დანართი N2-ს შესაბამისად;
4. დამტკიცდეს პროექტის ბიუჯეტის და პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკის ფორმა ამ ბრძანების დანართი N3-ის შესაბამისად;
5. დამტკიცდეს მაგისტრანტის ბიოგრაფიული მონაცემების (CV) ფორმა ამ ბრძანების დანართი N4-ის შესაბამისად;
6. დამტკიცდეს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის ბიოგრაფიული მონაცემების (CV) ფორმა ამ ბრძანების დანართი N5-ის შესაბამისად;

7. დამტკიცდეს სამაგისტრო ნაშრომის კონსულტანტის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ბიოგრაფიული მონაცემების (CV) ფორმა ამ ბრძანების დანართი N6-ის შესაბამისად;

8. დამტკიცდეს „პროექტის რეზიუმე“-ს ფორმა ამ ბრძანების დანართი N7-ის შესაბამისად;

9. დამტკიცდეს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის თანხმობის წერილის ფორმა ამ ბრძანების დანართი N8-ის შესაბამისად;

10. დამტკიცდეს კონსულტანტის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) თანხმობის წერილის ფორმა ამ ბრძანების დანართი N9-ის შესაბამისად;

11. დამტკიცდეს კონკურსში მონაწილეობის შესახებ განცხადების ფორმა ამ ბრძანების დანართი N10-ის შესაბამისად;

12. დამტკიცდეს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების თანხმობის წერილის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამოყენების შესახებ, ფორმა ამ ბრძანების დანართი N11-ის შესაბამისად;

13. დამტკიცდეს მაგისტრანტთა სასწავლო-კვლევითი პროექტების გრანტით დაფინანსების 2016 წლის კონკურსის სამეცნიერო მიმართულებების კლასიფიკატორი ამ ბრძანების დანართი N12-ის შესაბამისად;

14. დაევალოს სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი) საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების ფონდის ვებგვერდზე განთავსება;

15. ბრძანება ძალაშია ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე;

16. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

მარინე ჩიტაშვილი

